საქართველო

40307-01-2-201711031510

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/40307
03/11/2017

საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, სახელმწოფო დაწესებულებიდან მომართვის საფუძველზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი ახორციელებს დიპლომატიური/სამსახურებრივი პასპორტის მქონე საზღვარგარეთ მიმავალ პირთა სავიზო უზრუნველყოფას და ვიზირებული პასპორტების უკან დაბრუნებას.

გასული პერიოდის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პასპორტის გატანის დროს, ადგილი ჰქონდა რიგ გაუგებრობას და გარკვეულ პრობლემებს.

პასპორტის არაუფლებამოსილი პირისთვის გადაცემის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, გვაცნობოთ პასპორტის გატანაზე პასუხისმგებელი სამი პირის მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა). იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიერ ავტორიზებული პირები ვერ შეძლებენ პასპორტის გატანას საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მისაღებიდან, ყოველ კონკრეტულ პირზე უნდა იქნას წარმოდგენილი დამატებით, ავტორიზაციის წერილი შესაბამისი მონაცემებით.

პატივისცემით,
გიორგი ტაბატაძე

დეპარტამენტის დირექტორი

საკონსულო დეპარტამენტი